პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №3

ქ. თბილისი 13.09.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:***

**ქეთევან ჯაყელი** - მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარე;

**ლალი ღოღელიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესიული განვითარების, მეცნიერების და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; საბჭოს მდივანი;

**მიშა კორძახია** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე - პრეზიდენტი;

**ლიანა ზამბახიძე** - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

**კახაბერ ერაძე** - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ საქართველოს ბიზნესის აკადემია ,,SBA''-ს რექტორი, ეკონომიკის დოქტორი;

**დავით მჭედლიშვილი** - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღას''დირექტორი;

**ალექსანდრე ეჯიბაძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი.

***სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:***

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

***ავტორიზაციის მაძიებელი პროფესიული საგანმანათებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:***

1. ნოდარ ხარაზიშვილი - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორი;
2. ნია გოგუაძე - სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის მოადგილე;
3. კიტა ჭაჭიაშვილი - შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი;
4. ჩიტო ქობულაძე - შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის მდივანი;
5. ვლადიმერ ჭანია - შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
6. ვახტანგ ჭანია - შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. ეკა კანდელაკი - შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

8. რუსუდან ჩიტალაძე - შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;
9. რეზო შარაბიძე - ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯის დირექტორი;
10. ზურაბ აბაშიძე - შპს - თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტის დირექტორი;
11. მაია ჩქვანავა - შპს - თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. შორენა ხაჭაპურიძე - შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის დირექტორის მრჩეველი;
13. თემურ წურწუმია - შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის იურისტი;
14. გენადი ცქვატაია - შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის დირექტორი;
15. თეა ეხვაია - შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტის კანცელარიის უფროსი.

***ავტორიზაციის ექსპერტები:***
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
თეა შაყულაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
შორენა ჯაფარიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა კაჭარავა - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:38 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
7. შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
8. შპს - გარანტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
9. შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
10. შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
11. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ მასკისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ავტორიზაცის სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონის წერილობითი შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვის გადადებას, დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენელი სხდომას ვერ დაესწრებოდა. კონსტანტინე ჩოკორაიამ ასევე განმარტა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის პირველი აგვისტოს N6 გადაწყვეტილებით შპს - ქართულ-ევროპულ აკადემიას მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ერთ იურიდიულ პირს არ შეიძლება ჰქონოდა ორი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, რადგანაც შპს - ქართულ-ევროპულ აკადემიას მოპოვებული ჰქონდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უნდა მომხდარიყო შპს - ქართულ-ევროპული აკადემიისათვის პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის გაუქმება და ძალადაკარგულად გამოცხადებულიყო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N127 გადაწყვეტილება (შპს - ქართულ-ევროპულ აკადემიას 2011 წელს ერქვა შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი). კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროფესიული საგანამანთლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო, ამიტომ მოხდა აღნიშნული საკითხის ამ საბჭოზე წარმოდგენა. საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:**

1. ,,შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N127 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
7. შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
8. შპს - გარანტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
9. შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
10. შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
11. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ მასკისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

**1. „შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N127 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის განხილვა**

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსის კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით უმაღლესი საგანმნათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე ცენტრმა გააკეთა განმარტება, რომ შპს - ქართულ - ევროპული აკადემისათვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის გაუქმება მოხდებოდა 2013 წლის პირველი აგვისტოდან, როდესაც ძალაში შევიდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შესახებ გადაწყვეტილება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს N127 გადაწყვეტილების 2013 წლის პირველი აგვისტოდან ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს №127 გადაწყვეტილება.

## 2. სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა - მაია ხურცილავამ და ნონა ზუმბაძემ. მაია ხურცილავას თქმით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზი არ დაფიქსირებულა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამანური რესურსის ნაწილებში; რაც შეეხება დაწესებულების მატერიალურ რესურსს, მაია ხურცილავამ აღნიშნა, რომ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ განთავსებული იყო ქ. თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე. შენობა–ნაგებობა იყო ოთხსართულიანი და საერთო ფართი პროექტის მიხედვით შეადგენდა 6169,3 კვ.მ.-ს. აღნიშნული შენობა ვიზიტის დროს არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს წერილი (№370420, 10.09.2013), საიდანაც ირკვევა, რომ სამინისტრო მიმართავს თხოვნით სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №302 დადგენილების შესაბამისად, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ დასახელებული უძრავი ქონება. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას კანონიერ მფლობელობაში გააჩნდა ქ. თბილისში, ასკურავას ქუჩა №7–ში მდებარე ორსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართი შეადგენდა 774,52 კვ.მ.-ს. აღნიშნული შენობა კოლეჯს გადაეცა სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2013 წლის 6 სექტემბერს.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, სთხოვა ექსპერტს დაზუსტება, იყო თუ არა დაკმაყოფილებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამანური რესურსის ნაწილებში სტანდარტის ყველა მოთხოვნა.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადამანური რესურსის ნაწილებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა, აღნიშნა, რომ იგი სრულად იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ შეფასებას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული შენობა-ნაგებობა ვიზიტის დროს არ იყო რეგისტრირებული, თუმცა არსებობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობები, რომლითაც დასტურდებოდა სახელმწიფოს ნება აღნიშნული უძრავი ქონების სსიპ -

საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ გადაცემის შესახებ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტებს გადაეცათ შესაბამისი ცნობები. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ხარვეზი სრულად იყო აღმოფხვრილი და დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი იყო ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდებოდა ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული შენობა-ნაგებობის კანონიერი ფლობის ფაქტი.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების თანახმად, რადგან ექსპერტთა ვიზიტის დროისათვის შენობის კანონიერი ფლობა არ დასტურდებოდა, საბჭოს არ შეეძლო ვიზიტის დასრულების შემდგომ, ხარვეზი გამოსწორებულად ჩაეთვალა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა, აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 2011 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ შენობა და მასში არსებული ინვენტარი (რომლის ფლობაც ვიზიტის დროსაც დასტურდებოდა) განკუთვნილი იყო სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“, ამ ეტაპზე, კი, საკითხი სრულად იყო მოგვარებული.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას გააჩნდა ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, თავადაც გახლდათ ნამყოფი კოლეჯის ტერიტორიაზე და დააფიქსირა საკუთარი აღფრთოვანება დაწესებულებაში არსებული რესურსის მიმართ. აქვე, თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ეხებოდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა მხოლოდ შენობის ფლობას.

ექსპერტმა, ნონა ზუმბაძემ, განაცხადა რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილული შენიშვნა ეხებოდა მხოლოდ იმას, რომ შენობა-ნაგებობა არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან“ დაკავშირებული საკითხები ტელევიზიითაც ხშირად განიხილებოდა და ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ქონების გადაცემის პროცესი საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს საჯარო რეესტრის ამონაწერის საბჭოსათვის წარმოდგენა. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გადასცა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დადასტურდა დაწესებულების კანონიერი უფლება ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აქვე, აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერი დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო ცენტრში.

ცენტრის წარმომადგენელმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ, დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენლის განცხადება.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, სწორი იყო თუ არა მისი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ვიზიტის დროს ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული ფართი არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ხოლო ასკურავას ქუჩაზე არსებული ფართი არ იყო აღჭურვილი სასწავლო ინვენტარით.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განაცხადა, რომ ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული ფართი ვიზიტის დროს არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, ასკურავას ქუჩაზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე დაწესებულებას უდასტურდებოდა კანონიერი ფლობის ფაქტი საჯარო რეესტრის ამონაწერით. ამასთან, ხიზანიშვილის ფართი დარეგისტრირდა ექსპერტთა მიერ დასკვნის ჩაბარებიდან რამოდენიმე საათის შემდეგ და სწორედ, ამიტომ ვერ მოხვდა იგი ექსპერტთა დასკვნის აღწერილობით ნაწილში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს უკვე არსებობდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხომა, მაგრამ დასამთავრებელი იყო ტექნიკური საკითხები. რაც შეეხება, სახელმწიფოს ნებას უძრავი ქონების კოლეჯისათვის გადაცემაზე, იგი გამოხატული იყო ექსპერტთა ვიზიტამდე გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ, 2011 წელს.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, შესაძლებელი იყო თუ არა ასკურავას ქუჩაზე სასწავლო პროცესის წარმართვა.

ექსპერტმა, ნონა ზუმბაძემ, განაცხადა, რომ ასკურავას ქუჩაზე არსებული შენობა საჭიროებდა დასუფთავებას, მერხები იყო დასაწყობებული და საჭირო იყო მათი განთავსება სასწავლო აუდიტორიებში. შენობის პირველ სართულზე არსებობდა პანდუსი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ დაწესებულებას აღნიშნული ფართი გადაეცა 9 სექტემბერს, შესაბამისად, მისი მომზადება დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, დასტურდებოდა თუ არა ხიზანიშვილის ფართზე, ვიზიტის დროს, დაწესებულების უფლება.

ექსპერტმა, ნონა ზუმბაძემ, განაცხადა, რომ როგორც ექსპერტთა ჯგუფმა არაერთხელ აღნიშნა, ვიზიტის დრო, ხიზანიშვილის ქუჩაზე დაწესებულების უფლება არ დასტურდებოდა.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, განაცხადა, რომ მისთვის საკითხი ძალიან მარტივად გადასაჭრელი იყო, კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ დაწესებულებას ვიზიტის დროს არ გააჩნდა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ვიზიტის შემდგომ, ხარვეზი გამოსწორებულად ვერ ჩაითვლებოდა.

საბჭოს წევრი, ლალი ღოღელიანი, არ დაეთანხმა კახაბერ ერაძის განცხადებას და აღნიშნა, რომ დაწესებულების ისტორია ყველასათვის კარგად იყო ცნობილი; მისთვის სასიხარულო იყო ის გარემოება, რომ კოლეჯმა გამოძებნა ალტერნატიული ფართი, რომელშიც გააგრძელებდა საქმიანობას იმ შემთხვევაში, თუ ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული შენობის გადმოცემის პროცესი გაგრძელდებოდა. ამასთან, საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ იგი თავად გახლდათ ნამყოფი ასკურავას ქუჩაზე არსებულ შენობაში და მისი აზრით, ამ შენობის დასუფთავება იყო ძალიან მარტივი საქმე. შენობაში იყო მერხები, მაგიდები და მსგავსი ინვენტარი. ამასთან, მაშინ როდესაც არსებობდა მეორე ყოველმხრივ აღჭურვილი ფართი, ეს ორი ფაქტორი ერთობლიობაში მხოლოდ დადებითად მოქმედებდა კოლეჯის მდგომარეობაზე. ლალი ღოღელიანმა განაცხადა, რომ საბჭოს არაერთხელ მიუღია მხედველობაში ზეპირ განხილვაზე წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შესაბამისად, არსებობდა სათადარიგო შენობაც და რეალობაც, რომლებიც არანაირად არ აძლევდა მას, როგორც საბჭოს წევრს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საბჭოს წევრმა ასევე, ისაუბრა იმ 400-მდე პროფესიული სტუდენტის ინტერესის მნიშვნელობაზე, რომლებიც ელოდნენ კოლეჯის ავტორიზაციას.

საბჭოს წევრმა, დავით მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ იგი სრულად იზიარებდა ლალი ღოღელიანის მოსაზრებას და მიაჩნდა, რომ რამოდენიმე საათით საჯარო რეესტრის ამონაწერის დაგვინება არ წარმოადგენდა ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლება საფუძვლად დადებოდა საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებას, მითუფრო მაშინ როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხარემ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

საბჭოს წევრმა, ალექსანდრე ეჯიბაძემ, აღნიშნა, რომ მისთვის პრობლემას წარმოადგენდა ავტორიზაციის დებულების ჩანაწერი, რომელზეც აპელირებდა საბჭოს

წევრი, მიშა კორძახია. ალექსანდრე ეჯიბაძემ განაცხადა, რომ გადასახედი იყო ავტორიზაციის დებულება და იგი უფრო ჰუმანური უნდა გამხდარიყო, მაგალითად, როდესაც რეესტრის მუშაობა ტექნიკურად ან პროგრამულად ფერხდებოდა, ამას არ უნდა მოეხდინა მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა დაწესებულების მიერ ავტორიზაციის მოპოვებაზე. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ იგი შინაგანად თვლიდა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწესებულებას არ უნდა შექმნოდა პრობლემა, თუმცა არ იყო დარწმუნებული, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ეს არ იქნებოდა კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, განაცხადა, რომ იგი იზიარებდა ალექსანდრე ეჯიბაძის მოსაზრებას და მიაჩნდა, რომ ავტორიზაციის დებულება მართლაც, გადასახედი იყო. ლიანა ზამბახიძემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წევრთა სათათბიროდ გასვლის შესახებ. აქვე, ლიანა ზამბახიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადდა დაჩქარებული წესით, თუ დაწესებულება ამონაწერს ელოდა 4 სამუშაო დღის განმავლობაში. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს გარემოება მნიშვნელოვანი იყო იმის დასადგენად, დაწესებულებას საჯარო რეესტრის ამონაწერის თაობაზე მოთხოვნა შეტანილი ჰქონდა რეესტრში ვიზიტის დროს, თუ - არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პარალელურად დაწესებულებას შეტანილი ჰქონდა განცხადება საჯარო რეესტრში და ელოდა ამონაწერს. ნოდარ ხარაზიშვილის განცხადებით, დაწესებულებამ ამონაწერის დაჩქარების თაობაზე საჯარო რეესტრს მიმართა 12 სექტემბერს, იმისათვის რომ 13 სექტემბრისთვის ანუ საბჭოს სხდომისათვის ამონაწერი უკვე მომზადებული ყოფილიყო.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კოლეჯს გააჩნდა ორი შენობა, აქედან ერთ შენობაზე ექსპერტთა ვიზიტის დროს იყო პრობლემა ის, რომ არ არსებობდა საჯარო რეესტრის ამონაწერი, ხოლო მეორე შენობაზე დაწესებულების კანონიერი უფლება დასტურდებოდა. შესაბამისად, კოლეჯს ვიზიტის დროსაც და ახლაც, გააჩნდა და გააჩნია უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, საუბარი იყო იმაზე, საბჭოს უნდა მიეჩნია, თუ არა, რომ კოლეჯს დაემატა ახალი შენობა, ანუ გაიზარდა მისი ფართი.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, რა მდგომარეობაში იყო ვიზიტის დროს ასკურავას ფართი.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განაცხადა, რომ ასკურავას ქუჩაზე არსებული ფართი იყო გამოსადეგი სასწავლო პროცესისათვის, თუმცა საჭიროებდა დასუფთავებას.

საბჭოს წევრმა, კახაბერ ერაძემ, აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარი იყო, თუნდაც კონტიგენტის განსაზღვრის დროს, რომელი ფართის გათვალისწინებით უნდა ემსჯელა საბჭოს, რადგან სტანდარტის თანახმად, საჭირო იყო არამხოლოდ ფართის არსებობა, არამედ - სასწავლო პროცესისათვის გამოსადეგი ფართის. შესაბამისად, გაუგებარი იყო, საბჭოს უნდა ემსჯელა იმ ფართზე, რომლის კანონიერი ფლობაც ვიზიტის დროს დასტურდებოდა, თუმცა არ იყო სასწავლო პროცესისათვის გამოსადეგი, თუ იმ ფართზე, რომელიც გამოსადეგი იყო სასწავლო პროცესისათვის, თუმცა რომლის ფლობაც არ დასტურდებოდა.

თავმჯდომარემ განმარტებისათვის მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, კონსტანტინე ჩოკორაიას, რომელმაც აღნიშნა, რომ წინა ავტორიზაციის საბჭოს პრაქტიკის გათვალისწინებით, ყველა მსგავს შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერს, საბჭო ითვალისწინებდა ხარვეზის გამოსწორების ფაქტს. მსგავსი მიდგომა არსებობდა, ასევე სასამართლო წარმოების დროსაც. კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით,

იგი ცენტრის სახელით დაწესებულების წარმომადგენლებთან კონსულტაციის რეჟიმში არაერთხელ აფიქსირებდა იმას, რომ ზეპირ მოსმენაზე საბჭო გაითვალისწინებდა მათ მიერ წარმოდგენილ ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, რადგან რეესტრის მიერ უფლების დადასტურება არ იყო დაკავშირებული მხოლოდ დაწესებულებასთან და გადამწყვეტი იყო ის, რომ საბჭოს მიერ საკითხის განხილვის დროს დადასტურებულიყო დაწესებულების კანონიერი უფლება უძრავ ქონებაზე.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, აღნიშნა, რომ იგი არ იცნობდა წინა ავტორიზაციის საბჭოს მუშაობას, თუმცა მისთვის ნათელი იყო, რომ საკითხი იდგა შემდეგნაირად, უნდა დაერღვია მას კანონი, თუ - არა. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ხშირად უწევდა სახელმწიფოსა და სახალხო ინტერესზე საუბრის მოსმენა, თუმცა მისი მოსაზრებით, არაფერი დაშავდებოდა იმით, თუ დაწესებულებას უარს ეტყოდნენ ავტორიზაციაზე, იგი ხელახლა შემოიტანდა საავტორიზაციო განაცხადს და დაახლოებით ერთ კვირაში მიიღებდა ავტორიზაციას.

თავმჯდომარემ განმარტებისათვის მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნინო ბეგიაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ სადავო იყო, რამდენად იდგა საბჭოს წინაშე კანონის დარღვევა/არ დარღვევის საკითხი, მაშინ როდესაც საუბარი იყო ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის გათვალისწინებაზე. კერძოდ, ავტორიზაციის დებულების ჩანაწერი („ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ"), რომელზეც საბჭოს წევრი, მიშა კორძახია, აპელირებდა ცალსახად არ გულისხმობდა საჯარო რეესტრის ამონაწერის გაუთვალისწინებლობას. დებულების ჩანაწერის არა გრამატიკული, არამედ თელეოლოგიური - მიზნიდან გამომდინარე განმარტების საფუძველზე, ნათელი იყო, რომ ნორმის მიზანს წარმოადგენდა ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას ისეთი დოკუმენტების არგათვალისწინება, რომელთა შემოწმება საჭიროებდა ხელახალ ექსპერტთა ვიზიტს დაწესებულებაში, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ ახალი საავტორიზაციო წარმოების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, საჭირო უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული ხარვეზების კომპლექსური და არსებითი გადამოწმება, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა ავტორიზაციის საბჭოს არ გააჩნდა. ამასთან, საბჭოს ზეპირ მოსმენაზე შეეძლო შეესწავლა და გამოსწორებულად მიეჩნია მხოლოდ ისეთი არაარსებითი შენიშვნები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეეძლო ექსპერტსა და თავად საბჭოს შემადგენლობას. საჯარო რეესტრის ამონაწერი წარმოადგენდა, სწორედ, მსგავსი ტიპის დოკუმენტს, რომლის შესწავლის საშუალება საბჭოს ზეპირი სხდომის ფორმატში გააჩნდა და ხარვეზის გამოსწორების ფაქტიც მარტივად დადასტურებადი იყო. ნინო ბეგიაშვილის განმარტებით, წინა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს არჩეული ჰქონდა სწორედ ზემოაღნიშნული მიდგომა, რაც ასევე, გაზიარებულ იქნა სასამართლოს მიერ დავების განხილვის დროს. მოცემულ შემთხვევაში, არსებობდა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო, რომელსაც შეეძლო გაეზიარებინა ან არ გაეზიარებინა არსებული პრაქტიკა, თუმცა აპელირება იმაზე, რომ საბჭო საჯარო რეესტრის ამონაწერის მხედველობაში მიღების შემთხვევაში დაარღვევდა ავტორიზაციის დებულების ნორმას, არ იყო მართებული.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრება მოისმინეს ექსპერტების, მხარის, საბჭოს წევრებისა და ცენტრის წარმომადგენელთა განმარტებები, რომელთა შეჯერებასაც საბჭო სათათბირო ოთახში მოახდენდა. თავმჯდომარემ აქვე განაცხადა, რომ მას არ ჰქონდა

იურიდიული განათლება, თუმცა იმ სამი სხდომის ანალიზის საფუძველზე, რომელიც მოცემულმა საბჭომ ჩაატარა, მას შეეძლო განეცხადებინა, რომ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი აქამდე განხილულ ყველა შემთხვევაში გახლდათ ის ხარვეზები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ სწავლების ხარისხზე. მოცემულ შემთხვევაში, კოლეჯს ვიზიტის დროს უდასტურდებოდა ერთ მისამართზე უძრავი ქონების ფლობის ფაქტი, ხოლო მეორე მისამართზე საჯარო რეესტრის ამონაწერის არარსებობა არ იყო დაწესებულების მიზეზით გამოწვეული პრობლემა; ამასთან, ეს საკითხიც, ამ ეტაპზე, მოგვარებული იყო და თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოს აღნიშნული გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა.

20 საათსა და 20 წუთზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 20 საათსა და 52 წუთზე.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, მიმართა დაზუსტების თხოვნით დაწესებულების წარმომადგენელს, დაწყებული იყო თუ არა უძრავ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის თაობაზე წარმოება ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა, განაცხადა, რომ მას, პირველ რიგში, სურდა დაეფიქსირებინა საკუთარი სიმპათია საბჭოს მოცემული შემადგენლობისადმი და მადლობა გადაეხადა საბჭოს დადებითი განწყობისათვის კოლეჯის მიმართ. ნოდარ ხარაზიშვილმა, აღნიშნა, რომ თავად გახლდათ უამრავ საბჭოს სხდომაზე და შეეძლო გაეხსენებინა მრავალი პრეცედენტი, როდესაც საბჭო ითვალისწინებდა მხარის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და მათზე დაყრდნობით იღებდა გადაწყვეტილებას.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, როგორ გეგმავდა კოლეჯი ასკურავას ქუჩაზე არსებული შენობის გამოყენებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნოდარ ხარაზიშვილმა, განაცხადა, რომ ასკურავას ქუჩაზე არსებულ შენობას კოლეჯი გამოიყენებდა სასწავლო მიზნებისათვის, თუმცა ჯერ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ იყო მიღებული.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, მიმართა კითხვით ექსპერტს, საკმარისი იყო თუ არა ასკურავას ქუჩაზე არსებული შენობის დასუფთავება იმისათვის, რომ იქ შესაძლებელი ყოფილიყო სასწავლო პროცესის განხორციელება.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, აღნიშნა, რომ შენობის დასუფთავების შემდეგ, შესაძლებელია შენობა გამოყენებული ყოფილიყო სასწავლო მიზნებისათვის.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტი წინააღმდეგობაში მოდიოდა საკუთარ დასკვნასთან, რომელშიც დაფიქსირებული იყო, რომ ასკურავას ქუჩაზე არსებული შენობა იყო სარემონტო და არა - დასასუფთავებელი.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განაცხადა, რომ იგი არც ერთ შემთხვევაში არ მოდიოდა წინააღმდეგობაში ექსპერტთა დასკვნასთან, მეტიც, სწორედ, ჩანაწერის დაზუსტებას ემსახურება მისი განმარტებები ზეპირ სხდომაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ასკურავას ქუჩაზე არსებული შენობა იყო ძველი აშენებული და ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებულ ფართთან შედარებით ნამდვილად საჭიროებდა რემონტს, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავდა მსგავს შენობაში კოლეჯის ფუნქციონირების შესაძლებლობას; ამასთან, საგულისხმო იყო ის, რომ არსებობდნენ კოლეჯები, რომლებიც, სწორედ, მსგავსი ტიპის შენობებში იყვნენ განთავსებულნი.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, მიმართა კითხვით ექსპერტს, იყო თუ არა ასკურავას ქუჩაზე არსებულ შენობაში ლაბორატორიები.

ექსპერტმა, მაია ხურცილავამ, განაცხადა, რომ სტანდარტი არ ავალდებულებდა დაწესებულებას, რომ ლაბორატორიები განთავსებული ჰქონოდა უშუალოდ ასკურავას ქუჩაზე არსებულ შენობაში. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულებები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილი იყო მისი განხორციელებისათვის საჭირო რესურსით.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, აღნიშნა, რომ ექსპერტის განმარტებებმა მას საბოლოო წარმოდგენა შეუქმნა არსებულ ვითარებაზე, კერძოდ, არსებობდა შემდეგი ფაქტობრივი გარემოება - ასკურავას ქუჩაზე არსებული ფართის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენება უზრუნველყოფილი იყო ხელშეკრულებების მეშვეობით, ხოლო მეორე ფართის განხილვის შემთხვევაში, იგი ისედაც აკმაყოფილებდა სტანდარტის ყველა მოთხოვნას. შესაბამისად, ყველა გარემოების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სადავო ფართის გარეშეც, ექსპერტთა ვიზიტის დროს არსებული უძრავი ქონება ასკურავას ქუჩაზე დასუფთავების შემდეგ, არსებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, გამოყენებადი იყო სასწავლო მიზნებისათვის.

საბჭოს წევრმა, ალექსანდრე ეჯიბაძემ, განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ლიანა ზამბახიძის, როგორც იურისტის განმარტება, რომელსაც იგი გადაწყვეტილების მიღების დროს დაეყრდნობოდა, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მიმართა კითხვით ლიანა ზამბახიძეს, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაარღვევდა თუ არა იგი კანონის მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს ეყრდნობოდა ასკურავას ქუჩაზე არსებულ ფართს, შესაბამისად, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იგი გვერდს უვლიდა სადავო ნორმას და ვერანაირად ვერ დაარღვევდა კანონის მოთხოვნას.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, აღნიშნა, რომ ექსპერტის განმარტებით ასკურავას ფართი არ იყო ამ ეტაპზე აღჭურვილი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ მისთვის სურათი იყო შემდეგი - ასკურავას ფართზე „არ იყო არაფერი", ხოლო ხიზანიშვილის ფართზე „იყო ყველაფერი".

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის" ავტორიზაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან" დაკავშირებით არსებობდა განსაკუთრებული პრეისტორია და გამოთქვა იმედი, რომ მსგავსი შემთხვევები ქვეყანაში აღარ განმეორდებოდა. ამასთან, თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პირადად მის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ასკურავას ქუჩაზე არსებული ფართისა და ზეპირ მოსმენაზე საჯარო რეესტრის ამონაწერის არსებობა, ამასთან, თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების

წარმომადგენელს შემდგომში მეტი ყურადღებით მოკიდებოდნენ საკითხს და არ დაეშვათ მსგავსი ხარვეზის არსებობა.

საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ, აღნიშნა, რომ მის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებას საფუძვლად დაედო ასკურავას ქუჩაზე არსებული ფართი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარს არ დაუჭერდა.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, განაცხადა, რომ საბჭომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, აღნიშნა, რომ მიშა კორძახიას განცხადება უსაფუძვლო იყო და საბჭოს უკანონო გადაწყვეტილება არ მიუღია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, ორცვლაში სწავლების პირობებში, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 900-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენელს, რამდენი პედაგოგი იყო დასაქმებული დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა 35 საშტატო ადგილი, ხოლო დასაქმებული იყო 31 პედაგოგი.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს საბჭო იხელმძღვანელებდა პედაგოგების იმ რაოდენობიდან, რომელიც ამ ეტაპზე, დაწესებულებაში რეალურად ფიქსირდებოდა.

საბჭოს წევრმა, მიშა კორძახიამ, აღნიშნა, რომ საბჭოს არ უნდა ემსჯელა ხიზანიშვილის ფართზე კონტიგენტის განსაზღვრის დროს, რადგან დადებითი გადაწყვეტილების საფუძველი ასკურავას ქუჩაზე არსებული ფართი გახდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, საჯარო რეესტრის ამონაწერზე დაყრდნობით საბჭო იხელმძღვანელებდა ხიზანიშვილის ქუჩაზე არსებული ფართით კონტიგენტის განსაზღვრის დროს. ამასთან, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არასწორი იყო მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასების ნაწილი, კერძოდ, დადებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი იყო ყველა გარემოება კომპლექსურად და არა მხოლოდ, - რომელიმე ერთი ფაქტი. მოცემულ შემთხვევაში, საბჭომ მიიჩნია, რომ ხარვეზი აღმოიფხვრა როგორც ასკურავას ქუჩაზე განთავსებული შენობის, ისე საჯარო რეესტრის ამონაწერის არსებობით.

საბჭომ იმსჯელა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხზე და მიიჩნია, რომ პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კოლეჯს შეეძლო 620 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისათვის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 620-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს" (საიდენტიფიკაციო კოდი: 200279448) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 620-ით.

**3. შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის, განცხადებით, წარმოდგენილი პროგრამები მოიცავს 60 კრედიტს/1500 საათს, რომლის 60% - 36 კრედიტი/900 საათი/ ეთმობა თეორიას, ხოლო 40% - 24 კრედიტი/600 საათი/ საწარმოო პრაქტიკას.

პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზანი, მოცულობა, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმა, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია, სტუდენტის ცოდნის შეფასება. პროგრამებს თან ერთვის სილაბუსები.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, პროგრამისა და სილაბუსების გადამოწმებისას დაფიქსირდა თითქმის იდენტური ხარვეზები. კერძოდ,

**1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით**

**კბილის ტექნიკოსის პროფესიულ პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზები:**

1. ორივე პროგრამაში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა; სასწავლო გეგმიდან და სილაბუსებიდან შეუძლებელია კურსების სწავლების თანმიმდევრობის დადგენა;
2. ორივე პროგრამაში სწავლის მეთოდებში მითითებულია: თეორიული სწავლება, სასწავლო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა, რაც არ წარმოადგენს მეთოდს;
3. არც ერთ პროგრამაში არ არის წარმოდგენილი შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის პირობები;
4. არც ერთ პროგრამაში და არც სილაბუსებში, არსად არ არის განსაზღვრული როდის ტარდება საწარმოო პრაქტიკა. სილაბუსებში მითითებულია, მხოლოდ, პრაქტიკის ხანგრძლივობა;
5. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში არ არის ასახული ყველა ის კომპეტენცია, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს აღნიშნული კურსის შესწავლის შედეგად. მაგ.: ინგლისური ენის კურსის შედეგებში არ არის მითითებული ცოდნის და გაცნობიერების უნარი და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების შედეგებში ცოდნა-გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და სხვ.

**სილაბუსებში გამოვლენილი ხარვეზები:**

1. ორივე პროგრამის სილაბუსებისა და კურიკულუმის შედეგების რუკის შესაბამისობის დადგენა რთულია, რადგანაც სილაბუსებში მითითებული შედეგების ახსნა–განმარტება ზოგად ხასიათს ატარებს;
2. არც ერთი პროგრამის სილაბუსში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა. შესაბამისად, ვერ დგინდება, როდის ისწავლება კონკრეტული კურსი;
3. არც ერთი პროგრამის სილაბუსში არ არის წარმოდგენილი კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, აუცილებელია;
4. სასწავლო კურსის „საინფორმაციო ტექნოლოგიების" სილაბუსში ინფორმაცია არასრულია. მითითებულია, მხოლოდ, კურსის შინაარსი, შეფასება და ლიტერატურა.
5. სასწავლო კურსის „კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობის" სილაბუსის შინაარსში არ სჩანს, როდის ტარდება დასკვნითი გამოცდა. აქ მითითებულია, მხოლოდ, შუალედური შეფასება;
6. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში პრაქტიკას ეთმობა 570 საათი, ხოლო შეფასებას - 30 საათი, რაც არ შეესაბამება კურიკულუმის სასწავლო გეგმის მონაცემებს (პრაქტიკა 560, შეფასება 40);
7. ზოგიერთი სილაბუსის ლიტერატურის ჩამონათვალი ახსნა–განმარტებას მოითხოვს, რადგანაც მითითებულია, მხოლოდ, წიგნის ავტორები. მაგალითად, სასწავლო კურსის „მოუხსნელი პროტეზების დამზადების ტექნიკის" სილაბუსში შემდეგნაირადაა მითითებული:

   „ლიტერატურა –

   1. ვ. გამგებელი
   2. ვ.ნ. კაპეიკინი „Зубопротезная техника"
   3. ვ.ნ. ტრეზუბოვი
   4. ლ.მ.მიშნევი,
   5. ა.ს. შჩერბაკოვი
   6. ვ.ი. კურლიანცკი".

   უნდა აღინიშნოს, რომ კურსის შინაარსის გადამოწმებისას მითითებული რუსულენოვანი წიგნი საკმაოდ დიდი დოზით მიეწოდებათ სტუდენტებს. არსად არ არის მითითებული ამ სახელმძღვანელოს ქართული ვარიანტი, არც პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ითვალისწინებს რუსული ენის კარგად ცოდნას.
8. ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტი იდენტურია საგნების სპეციფიკის მრავალფეროვნების მიუხედავად. საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში საერთოდ გაურკვეველია, როგორ აფასებენ სტუდენტს.

**ექსპერტთა აზრით, დაფიქსირდა, შემდეგი ტექნიკური ხასიათის შენიშვნაც:**

ზოგიერთ შემთხვევაში ერთმანეთს არ ემთხვევა სასწავლო კურსების დასახელება. კერძოდ, პროგრამაში მითითებულია სასწავლო კურსი „კბილებისა და ყბების სისტემის ანატომია, ფიზიოლოგია, ბიომექანიკა" - სილაბუსში „საღეჭი აპარატის ანატომია, ფიზიოლოგია, ბიომექანიკა".

**მასაჟისტის პროფესიული პროგრამის სილაბუსებში გამოვლენილი ხარვეზები:**

1. სილაბუსებისა და კურიკულუმის შედეგების რუკის შესაბამისობის დადგენა რთულია, რადგან სილაბუსებში მითითებული შედეგების ახსნა–განმარტება ზოგად ხასიათს ატარებს. მაგ., „ფიზიოთერაპიის" სასწავლო კურსის სილაბუსში შედეგებში წერია: „პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულმა იცის ფიზიოთერაპიული პროცედურების გამოყენების ხერხები და მეთოდები", როცა სასწავლო გეგმის შედეგების რუკაში მონიშნულია „ცოდნა და გაცნობიერება", „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი" და „სწავლის უნარი".
2. კბილის ტექნიკოსის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსში არ არის მითითებული მისაღწევი შედეგები.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

2.1 პროგრამის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება საპროტეზო ლაბორატორია და სტომატოლოგიური მასალათმცოდნეობის კაბინეტი საჭირო ინვენტარითა და დამხმარე მასალებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ინვენტარის ფლობა ვერ დგინდება.

2.2 კბილის ტექნიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება მასაჟის კაბინეტი სამასაჟე ტახტით. პროგრამაში არ არის მითითებული, აქვს თუ არა დაწესებულებას შეძენილი მულაჟი პრაქტიკული მეცადინეობებისთვის. ინვენტარისა და დამხმარე მასალის ფლობა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, კითხვით მიმართა ექსპერტს და დააზუსტდა, სილაბუსებში სასწავლო საკითხები იყო თუ არა კვირების მიხედვით გაწერილი.

ნინო ფეტვიაშვილის განმარტებით, სილაბუსში, სასწავლო თემატიკას არ ჰქონდა შესაბამისი კვირა მიწერილი, როდესაც აღნიშნული საკითხი ისწავლება.

კახაბერ ერაძემ დააზუსტა, კვირების ნაცვლად საათები ხომ არ იყო მიწერილი.

ექსპერტის განცხადებით, სილაბუსში საათები იყო, მაგრამ ის წარმოადგენდა ხანგრძლივობას და არა კვირების შემცვლელ შესაბამის საათს.

კახაბერ ერაძის განცხადებით, ხანგრძლივობის მითითების საფუძველზე მიხვედრა შესაძლებელი იყო.

ლალი ღოღელიანმა დააზუსტა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული შენიშნა, იყო თუ არა ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, სილაბუსში მითითებული იყო სახელმძღვანელოების, მხოლოდ, ავტორების ჩამონათვალი. შესაძლოა, ქართული თარგმანიც არსებობდა, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია სილაბუსიდან არ ირკვეოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ის ეთანხმებოდა დაფიქსირებულ შენიშნებს და აღნიშნულის გათვალისწინებით, გაასწორეს პროგრამები. ამასთან, განმარტა, რომ სასწავლებელი დიდი ხნის დაარსებული იყო და მას საკმაო მატერიალური რესურსი გააჩნდა. მისი განცხადებით, დაწესებულება ფლობდა ადამიანის ნამდვილ ჩონჩი, რომელიც ნებისმიერ სამედიცინო უნივერსიტეტს დაამშვენებდა.

შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის წარმომადგენლის განცხადებით, ნამდვილად იყო ეს შენიშნები, თუმცა მათ მიერ გამოსწორებული იქნა ყველაფერი. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში არ იყო მითითებული წინაპირობები, აღნიშნულ ინფორმაციას მოიცავდა პროგრამა.

ნინო ფეტვიაშვილმა დააზუსტა, რომ დასკვნაში აქცენტი იყო პრაქტიკის ნაწილზე გაკეთებული.

სასწავლებლის წარმომადგენლის განცხადებით, თუ საბჭო ნახავდა პროგრამის ახალ ელექტრონულ ვერსიას, დაადგენდა, რომ აღნიშნული შენიშნები გამოსწორებული იყო. მისი განცხადებით, პრობლემა იქნებოდა მასაჟისტის პროგრამაზე სწავლის დაწყებისას, რადგან მათ მიერ ათვლა მაშინ იწყებოდა.

ლალი ღოღელიანის განცხადებით, იგი ეთანხმებოდა ექსპერტის შენიშნას. ცხადი იყო, რომ ციფრები სილაბუსსა და პროგრამაში არეული იყო, თუმცა ამით ჯამი არ იცლებოდა. აღნიშნული შეეძლო გაეთვალისწინებინა საბჭოს. ამასთან, კვირებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, საბჭოს შესაძლოა ევარაუდა, რომ თუ საათები იყო მითითებული, ამით შესაძლოა კვირების მითითების საკითხიც მოხსნილიყო.

კახაბერ ერაძის განცხადებით, ის სრულად ეთანხმებოდა ექსპერტის დასკვნას და მიაჩნდა, რომ ამ მონაცემების ასახვა პროგრამაში იდეალური იქნებოდა. თუმცა მას უჩნდებოდა შეკითხვა, ირღვეოდა თუ არა კანონმდებლობა. მისი განცხადებით, არსად ეწერა სავალდებულოდ, რომ პროგრამაში უნდა ყოფილიყო ასახული სწავლის ხანგრძლივობა. ამასთან, მისთვის მისაღები აღმოჩნდა დაწესებულების წარმოამდგენლის მოსაზრება კურსის თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, გასათვალისწინებელი იყო, რომ დაწესებულება უკვე ავტორიზებული იყო და თუ აქამდე ახორციელებდა სწავლებას ამ 2 პროგრამის განხორციელებასაც შეძლებდა. მისი განცხადებით, სასურველი იქნებოდა, მიცემოდა ამ ყველაფერს რეკომენდაციის სახე.

მიშა კორძახიამ მიმართა ექსპერტს, თავად თვლიდა თუ არა იგი აღნიშნულს, როგორც შენიშვნას.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, თვითშეფასების ანგარიშების საფუძველზე პროგრამების დამატების საკითხების დამუშავების შემდგომ, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები. თუმცა აღნიშნული ტიპის შენიშვნებს რეკომენდაციის სახე არ მიუღია. ეს დაფიქსირდა, როგორც ხარვეზი. როდესაც 1-2 შენიშვნა იყო, შეიძლება მიცემოდა დაწესებულებას რეკომენდაცია, თუმცა როდესაც 2 პროგრამაზე ამდენი შენიშვნა ფიქსირდებოდა, ექსპერტებს უჩნდებოდათ ეჭვი.

მიშა კორძახიამ დააზუსტა, შეეძლო თუ არა ექსპერტს ეთქვა, რომ რომელიმე სტანდარტი ირღვეოდა. თუ რადგან ბევრი შენიშნა იყო, რაოდენობა წყვეტდა სტანდარტის დარღვევას.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირდა, როგორც შენიშვნა. დასკვნით, მათ გამოხატეს თავიანთი პოზიცია სტანდარტის დაკმაყოფილებისა თუ დაღვევის შესახებ. დანარჩენი იყო საბჭოს კომპეტენცია, დასკვნისა და მხარის პოზიციის გათვალისწინებით გადაეწყვიტა, ირღვეოდა სტანდარტი თუ არა.

საბჭოს თავმჯდომარე კვლავ ჩაეკითხა ექსპერტს, თვლიდა თუ არა იგი, რომ ამ რაოდენობის ხარვეზებით, დაწესებულებას არ უნდა მიცემოდა აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლება.

ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, დასკვნიდან ნათლად ჩანდა, რომ იყო როგორც არსებითი, ისე არაარსებითი, ტექნიკური შენიშნები. მისი განმარტებით, შესაძლოა ედავათ

შენიშვნის შინაარსზე. მას მიაჩნდა, რომ პრაქტიკას აუცილებლად უნდა ჰქონოდა წინაპირობა. ამასთან მიაჩნდა, რომ ხარვეზთა სიმრავლე ნამდვილად ჰქმნიდა საერთო სურათს.

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წარუდგინეს მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ნინო ფეტვიაშვილის განმარტებით, რადგან ვიზიტი არ განხორციელებულა, მათ მოითხოვეს დოკუმენტაციის გადმოგზავნა. აღნიშნული დოკუმენტები არ იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ, როდესაც დასკვნა ჩაბარდათ, დაიწყეს მზადება და რაც მოასწრეს საბჭოს სხდომამდე, წარმოდგენილი იქნა.

კახაბერ ერაძის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ ეს იყო სამედიცინო მიმართულების სასწავლებელი, 1928 წლიდან ასწავლიდა და ყველა პროგრამა სამედიცინო მიმართულების ჰქონდა, ამ 2 პროგრამაზე თანხმობის მიცემა, მისთვის პრობელმას არ წარმოადგენდა. მისი განცხადებით, დაწესებულებას, ავტორიზაციის ეტაპზე არ შექმნიათ მსგავსი პრობლემები და არ მოუთხოვიათ ის, რისი მოთხოვნაც ახლა ხდებოდა.

ლალი ღოღელიანის განცხადებით, თვითშეფასების ანგარიშების შედგენა ხდებოდა ყოველწლიურად. ახალი მოთხოვნებისა და პრაქტიკის გაანალიზების შედეგად ხდებოდა ინფორმაციის დამუშავება და ანგარიშში ასახვა. შესაბამისად, ის რა მოთხოვნაც იმ დროისათვის იდგა, არ იქნებოდა აქტუალური ავტორიზაციის ეტაპისათვის. ამდენად, ავტორიზაციაზე ამის დაბრალება არ იყო სწორი დამოკიდებულება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლისათვის მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლისათვის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212703546) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კბილის ტექნიკოსი | მესამე | კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 2 | მასაჟისტი | მესამე | მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

**4. შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს (1125 სთ). აღნიშნულიდან, 18 კრედიტი (450 სთ) განკუთვნილია თეორიული სწავლებისათვის, ხოლო 27 კრედიტი (675 სთ) ეთმობა პრაქტიკას. სასწავლო კომპონენტისა და პრაქტიკის პროცენტული თანაფარდობა შეადგენს 40% – 60%, რაც ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობაშია. სწავლის ხანგრძლივობა 38 კვირას შეადგენს და 2 სემესტრად მიმდინარეობს. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა – 19 კვირაა.

**პროგრამის და სილაბუსების გადამოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:**

1) <u>**პროგრამის მიზანი**</u>

როგორც წესი, პროგრამის მიზანი უნდა იყოს მიმართული სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე, რაც წარმოდგენილი პროგრამის მიზანში არ არის ასახული. მიზანი ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში გამოყენებული იმ პროცესების ვრცელ ჩამონათვალს, რომელსაც პროფესიული სტუდენტი შეისწავლის პროგრამის გავლისას.

2) <u>**პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება**</u>

სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილია შეფასების იდენტური სისტემა, რომელიც 3 კომპონენტს მოიცავს: დასწრება-აქტიურობა (5–5 ქულა), შუალედური შეფასება (ტესტი, პრეზენტაცია) (25+25ქულა) და დასკვნითი შეფასება (40 ქულა). გაურკვეველია როგორ ნაწილდება დასწრება-აქტიურობის ჯამური ქულა თითოეული კვირის (დღის, მეცადინეობის) განმავლობაში; ან როგორ ნაწილდება შუალედური გამოცდის ჩატარებისას ტესტსა და პრეზენტაციას შორის ქულები. ანალოგიური სიტუაციაა საწარმოო პრაქტიკის შეფასების შემთხვევაში სადაც ასევე არ არის წარმოდგენილი შეფასების ცალკეული კომპონენტების ფარგლებში ქულების გადანაწილება, ხოლო საწარმოო პრაქტიკის კურსის შუალედური და დასკვნითი შეფასება ხდება „სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის შესაბამისად“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიული სტუდენტის მიღწევებს მაჩვენებლად „სტუდენტების მეცადინეობაზე დასწრების“ გამოყენება არ არის მართებული, ვინაიდან არ არსებობს პირდაპირი კავშირი „მეცადინეობაზე დასწრებასა“ და „მიღწევებს“ შორის (პროფესიული სტუდენტი შეიძლება ესწრებოდეს მეცადინეობებს, მაგრამ არაფერს აკეთებდეს, შესაბამისად არ იძენდეს ცოდნას).

3) <u>„ინგლისური ენის“ სილაბუსი</u>

„ინგლისური ენის“ სილაბუსის თემატიკაში არ არის ასახული „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების“ სპეციფიკასა და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. მაშინ როდესაც სასწავლო კურსის შედეგით და პროფესიული სტანდარტით დადგენილია, რომ პროფესიულ სტუდენტს „შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექნიკურ ინსტრუქციებში გასარკვევად და კომუნიკაციისათვის“.

4) <u>საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდი</u>

პირველი და მეორე სემესტრების საწარმოო პრაქტიკის თემატიკის ცხრილში სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა დაშვებული, ვინაიდან მითითებულია პრაქტიკის გავლის პერიოდი შესაბამისად – I-X კვირა და I-XII; მაშინ როდესაც პროგრამაში და სილაბუსების სხვა ნაწილებში სწორი ჩანაწერია მოყვანილი, კერძოდ VI- XV და IV -XV კვირა.

5) <u>დაშვების წინაპირობა</u>

პროგრამაში წარმოდგენილი დაშვების წინაპირობა - „კანონმდებლობის დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, არაფორმალური, პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი“ არ ითვალისწინებს 2013 წლის 15 ივლისს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვით „პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე“.

თუმცა, ეს ხარვეზად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ცვლილეები კანონში დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ შევიდა.

6) <u>პროფესიულ სტუდენტის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება</u>

სილაბუსებში მითითებულია, რომ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით *„დამატებით გამოცდაზე ერთხელ გადაბარების უფლება“* და არ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არანაკლებ 10 დღეში, როგორც ამას ითვალისწინებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სრული სახით წარმოდგენილია პროგრამაში. პროფესიული სტუდენტებისთვის სილაბუსების მეშვეობით სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სილაბუსებში აღნიშნული წესის სრული ვარიანტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

## 2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯი არის ავტორიზებული დაწესებულება (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №290, 18.09.2012). მას განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზვრული რაოდენობა – 140 და მიეცა 8 პროგრამის განხორციელების უფლება. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულებას გააჩნია ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის *თეორიული კომპონენტის* მიზნების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწიმებული *ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების* ჩატარების შესაძლებლობას, დაწესებულებამ წარმოდგინა ინფორმაცია ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების კაბინეტ-ლაბორატორიის არსებობის შესახებ, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რაც იძლევა საშუალებას ადგილზე განხორციელდეს პრაქტიკული მეცადინეობები ზოგად და არაორგანულ ქიმიაში, ფარმაცევტულ ქიმიაში. ასევე წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა მასალების და საჭირო ინვენტარის შესყიდვის სასაქონლო ზედნადებები, ჩუქების ხელშეკრულებები. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულება ფლობს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის საჭირო სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს.

**საკითხის შესწავლის პროცესში ექსპერტებმა შემდეგი გარემოება გამოავლინეს:**

დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კოლეჯის მფლობელობაში არის ფართი თბილისსა (425.6კვ.მ) და სენაკში (522კვ.მ), სადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება. ექსპერტების ხელთ არსებული მასალებით ზუსტად ვერ დგინდება, სად უნდა განხორციელებას პროგრამა – თბილისსა თუ სენაკში, თუ ორივე ადგილზე, ასევე, სად მდებარეობს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორია. წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე, ექსპერტები თვლიან, რომ მატერიალური რესურსების ოდენობა საშუალებას იძლევა, რომ პროგრამა მხოლოდ ერთ ადგილზე განხორციელდეს.

**ამასთან, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები:**

შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავად აღმოჩენილი ნაკლოვანობებისა, მთლიანობაში შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

**ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე გადაწყვეტილერბის მიღებამდე, მნიშვნელოვანია დადგინდეს:** სად აპირებს დაწესებულება ამ პროგრამის განხორციელებას – თბილისსა თუ სენაკში, ექსპერტების ხელთ არსებული მასალებით, პროგრამის განხორციელების ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა. მატერიალური და ადამიანური რესურსების ოდენობა პროგრამის, მხოლოდ, ერთ ადგილზე განხორციელების საშუალებას იძლევა. სავარაუდოდ ეს თბილისი უნდა იყოს, რაზეც ისიც მიუნიშნებს, რომ ყველა პროფესიული მასწავლებლები თბილისის მაცხოვრებელია და ამ პერსონალით სენაკში სასწავლო პროცესის წარმართვა არაეფექტურია და პრაქტიკულად შეუძლებელი. მეორეს მხრივ, კოლეჯის ვებ–გვერდზე, ამჟამად, დევს ინფორმაცია, რომ სენაკში *„2013 წლის სასწავლო წლის დაწყებისას სასწავლო პროგრამას დაემატება ორი ფაკულტეტი: ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი და კრიმინალისტიკა“ (http://scc.edu.ge/college/geo/10/27).*

**კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს 60 კრედიტს (1500 სთ). აქედან - 60% (36 კრედიტი - 900 საათი) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 40% (24 კრედიტი - 600 საათი) - საწარმოო პრაქტიკას. სასწავლო კომპონენტისა და პრაქტიკის პროცენტული თანაფარდობა კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობაშია. სწავლის ხანგრძლივობა 38 კვირას შეადგენს და 2 სემესტრად მიმდინარეობს. თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა – 19 კვირაა.

**პროგრამის და სილაბუსების გადამოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:**

1) **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

პროგრამაში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება – „კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) III საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია" არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტში წარმოდგენილ კვალიფიკაციის დასახელებას, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: ***„კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.***

2) **პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება**

სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილია შეფასების იდენტური სისტემა, რომელიც 3 კომპონენტს მოიცავს: დასწრება-აქტიურობა (5–5 ქულა), შუალედური შეფასება (ტესტი, პრეზენტაცია) (25+25ქულა) და დასკვნითი შეფასება (40 ქულა). გაურკვეველია როგორ ნაწილდება დასწრება-აქტიურობის ჯამური ქულა თითოეული კვირის (დღის, მეცადინეობის) განმავლობაში; ან როგორ ნაწილდება შუალედური გამოცდის ჩატარებისას ტესტსა და პრეზენტაციას შორის ქულები. ანალოგიური სიტუაციაა საწარმოო პრაქტიკის შეფასების შემთხვევაში სადაც ასევე არ არის წარმოდგენილი შეფასების ცალკეული კომპონენტების ფარგლებში ქულების გადანაწილება, ხოლო საწარმოო პრაქტიკის კურსის შუალედური და დასკვნითი შეფასება ხდება „სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის შესაბამისად".

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროფესიული სტუდენტის მიღწევებს მაჩვენებლად „სტუდენტების მეცადინეობაზე დასწრების" გამოყენება არ არის მართებული, ვინაიდან არ არსებობს პირდაპირი კავშირი „მეცადინეობაზე დასწრებასა" და „მიღწევებს" შორის (პროფესიული სტუდენტი შეიძლება ესწრებოდეს მეცადინეობებს, მაგრამ არაფერს აკეთებდეს, შესაბამისად არ იძენდეს ცოდნას).

3) **„ინგლისური ენის" სილაბუსი**

„ინგლისური ენის" სილაბუსის თემატიკაში არ არის ასახული კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკასა და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები. მაშინ როდესაც პროფესიული სტანდარტით დადგენილია, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია „უცხო ენაზე კომუნიკაცია პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად"

4) **საწარმოო პრაქტიკის გავლის პერიოდი**

პირველი და მეორე სემესტრების საწარმოო პრაქტიკის თემატიკის ცხრილში სავარაუდოდ ტექნიკური შეცდომაა დაშვებული, ვინაიდან მითითებულია პრაქტიკის გავლის პერიოდი შესაბამისად – I-X კვირა; მაშინ როდესაც პროგრამაში და სილაბუსების სხვა ნაწილებში სწორი ჩანაწერია მოყვანილი, კერძოდ VI- XV კვირა.

5) **დაშვების წინაპირობა**

პროგრამაში დაშვების წინაპირობა შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: „კანონმდებლობის დადგენილი წესის თანახმად - ზოგადი განათლების საბაზო საფეხური

(მინიმალური ასაკი17 წელი), არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი", რაც არ შეესაბამება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 24 აგვისტოს N266 ბრძანებით დამტკიცებულ „კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) პროფესიულ სტანდარტში (060451) წარმოდგენილ მესამე საფეხურის პროგრამაზე დაშვების ახალ წესს, რომლის შესაბამისად აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: *„საბაზო განათლება; მინიმალური ასაკი - 16 წელი".* ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2013 წლის 15 ივლისს შეტანილი ცვლილებები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლება მიღების უფლება აქვს პირს, *„პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე".*
თუმცა, ეს ხარვეზად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან როგორც ზემოაღნიშნული ბრძანება, ასევე კანონში ცვლილეები შეტანილ იქნა დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ.

6) **პროფესიულ სტუდენტის დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება**

სილაბუსებში მითითებულია, რომ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით *„დამატებით გამოცდაზე ერთხელ გადაბარების უფლება"* და არ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არანაკლებ 10 დღეში, როგორც ამას ითვალისწინებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი", თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სრული სახით წარმოდგენილია პროგრამაში. პროფესიული სტუდენტებისთვის სილაბუსების მეშვეობით სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სილაბუსებში აღნიშნული წესის სრული ვარიანტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

**შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ წარმოდგენილი კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიუხედავად აღმოჩენილი ნაკლოვანობებისა, მთლიანობაში შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.**

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებაზე გადაწყვეტილერბის მიღებამდე, მნიშვნელოვანია დადგინდეს: სად აპირებს დაწესებულება ამ პროგრამის განხორციელებას – თბილისსა თუ სენაკში, ექსპერტების ხელთ არსებული მასალებით, პროგრამის განხორციელების ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოხერხდა. მატერიალური და ადამიანური რესურსების ოდენობა პროგრამის მხოლოდ ერთ ადგილზე განხორციელების საშუალებას იძლევა. სავარაუდოდ ეს თბილისი უნდა იყოს, რაზეც ისიც მიუნიშნებს, რომ ყველა პროფესიული მასწავლებლები თბილისის მაცხოვრებელია და ამ პერსონალით სენაკში სასწავლო პროცესის წარმართვა არაეფექტურია და პრაქტიკულად შეუძლებელი. მეორეს მხრივ, კოლეჯის ვებ–გვერდზეა ამჟამად დევს ინფორმაცია, რომ სენაკში *„2013 წლის სასწავლო წლის დაწყებისას სასწავლო პროგრამას დაემატება ორი ფაკულტეტი: ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი და კრიმინალისტიკა" (http://scc.edu.ge/college/geo/10/27).*

ამასთან, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები:

1. <u>რეკომენდაცია 1 – ხარვეზებისა და შენიშვნების გამოსწორება</u>

გამოსწორდეს დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზები, კერძოდ:

- ❖ შესწაორდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება;
- ❖ დაწვრილებით გაიწეროს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების ყველა კომპონენტი;
- ❖ „ინგლისური ენის" სილაბუსის თემატიკა შესაბამისობაში იქნას მოყვანილი პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებთან;
- ❖ სილაბუსებში წარმოდგენილ იქნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ სრული ინფორმაცია.

2. <u>რეკომენდაცია 2 – პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის გაუმჯობესება</u>

მეტი ყურადღება მიექცეს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ამისათვის, გარდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტებისა, უნდა დაინერგოს სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან: პროფესიული მასწავლებლები და დაწესებულების სხვა პერსონალი; დამსაქმებლები, მათ შორის, პოტენციური დამსაქმებლებიც; კურსდამთავრებულები; საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები; მშობლები; აბიტურიენტები; სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები) და სხვა. შემუშავდეს, გაიწეროს და დაინერგოს კითხვარების ანალიზისა და ანალიზის შედეგების <u>გამოყენების</u> ეფექტური მექანიზმი.

გარდა კითხვარებისა, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის სხვა ფორმებიც შეიძლება განხორციელედეს, მაგალითად, ზეპირი გამოკითხვა; შეხვედრები; წინადადებების ყუთი; ვებ–გვერდი; ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელები (მაგალითად, Facebook)

ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნისთვის ასევე რეკომენდირებულია შემდეგი მექანიზმებისა და ღონისძიებების განხორციელება: შიდა მონიტორინგის და თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება: მასწავლებლების შეფასება „თანასწორების" მიერ (pear review), ბენჩმარკინგის გამოყენება (წარმატებულ დაწესებულებებთან შედეგების შედარება); ხელმძღვანელობის და პერსონალისთვის ხარისხის საკითხების რეგულარული სწავლება.

3. <u>რეკომენდაცია 3 – ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ</u>

პროგრამაში და შესაბამის სილაბუსებში უნდა იყოს წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია პროგრამის და სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ, კერძოდ, პრაქტიკული მეცადინეობების/ლაბორატორიის განხორციელების <u>ადგილის დასახელება</u> (სახელოსნო, კომპიუტერული კლასი, კაბინეტი, ლაბორატორია, და ა.შ); ასევე საჭირო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, ხელსაწყო-იარაღების, მასალების, თვალსაჩინოების, კომპიუტერული ტექნიკის და ა.შ . <u>ჩამონათვალი და რაოდენობა.</u>

4. <u>*რეკომენდაცია 4 – სწავლის შედეგების რუქა*</u>

უნდა გადაიხედოს და დაიხვეწოს პროგრამაში წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუქა, ვინაიდან მასში არ არის ასახული ყველა ის კომპეტენცია, რომელსაც პროფესიული სტუდენტი იძენს ამა თუ იმ საგნის შესწავლის შედეგად.

5. *<u>რეკომენდაცია 5 –პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</u>*

მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობის გადახედვა და შემდგომში „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2013 წლის 15 ივლისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ჩამოყალიბება.

6. *<u>რეკომენდაცია 6– პროგრამების კატალოგი</u>*

სასურველია, რომ კატალოგში, ავტორიზაციის 1.2 სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია „დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ" იყოს მარტივიდ ჩამოყალიბებული და ადვილად აღსაქმელი, არ იყოს გადატვირთული მხოლოდ განათლების დარგის სპეციალისტებისთვის გასაგები ტერმინებით, შესაძლოა ილუსტრირებულიც, ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს ერთგვარ „სავიზიტო ბარათს", რომლის მიზანია ,ერთის მხრივ, ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება, და მეორს მხრივ, სწავლის მსურველების მოხიბლვა და მოზიდვა.

7. *<u>რეკომენდაცია 7 –შრომითი ხელშეკრულებები</u>*

გადაიხედოს შრომითი ხელშეკრულებები და მოყვანილ იქნას 2013 წლის 12 ივნისს მიღებულ საქართველოს შრომის ახალ კოდექსთან შესაბამისობაში.

ლალი ღოღელიანმა განაცხადა, რომ დასწრების კომპონენტს ბევრი დაწესებულება იყენებდა და მას ხარვეზად არ მიაჩნდა აღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ისინი ქ. თბილისში აპირებდნენ, მანამ, სანამ შესაბამისი პირობები არ შეიქმნებოდა ქ. სენაკში.

საბჭოს წევრის, ალექსანდრე ეჯიბაძის, განცხადებით, დასკვნა იყო ძალიან მაღალ დონეზე შედგენილი და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს გაეთვალისწინებინათ ყველა რეკომენდაცია, რაც კი მათ მიეცათ.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მათი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ძალიან კარგი იქნებოდა.

საბჭომ იმსჯელა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სოხუმის საზოგადოებრივი კოლეჯისათვის ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - სოხუმის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 400034752) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 2 | კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

**5. შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (3000 სთ). აქედან – 60% (72კრედიტი /1800 საათი) ეთმობა თეორიულ კომპონენტს, ხოლო 40% (48 კრედიტი/ 1200 საათი) - პრაქტიკულ კომპონენტს. სასწავლო და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის პროცენტული თანაფარდობა შეესაბამება პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიულ სტანდარტის მოთხოვნებს.

**პროგრამის და სილაბუსების გადამოწმებისას დაფიქსირდა შემდეგი შენიშვნები:**

1) <u>სასწავლო კურსებს კალენდარული თანმიმდევრობა</u>

პროგრამაში და სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი სრული ინფორმაცია სწავლის ხანგრძლივობასა და სასწავლო კურსების კალენდარული თანმიმდევრობის შესახებ.

პროგრამის ნაწილში – „სწავლა–სწავლების ფორმატი და მეთოდოლოგია“ აღნიშნულია, რომ *„პროფესიული პროგრამა გრძელდება 16 კვირა. რომელიც მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტებს. თეორიის კომპონენტის დროს: 13 კვირა მოიცავს სწავლა/ სწავლების პროცესს, 2 კვირა – შუალედურ გამოცდას, 1 კვირა– დასკვნითი გამოცდის ჩაბარებას. პრაქტიკის კომპონენტის დროს: 14 კვირა მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობების პროცესს, 1 კვირა– პრაქტიკის შუალედურ გამოცდას და 1 კვირა– დასკვნით გამოცდის ჩაბარებას“.*

თუ გავითვალისწინებთ, რომ პროგრამის მოცულობა 120 კრედიტია (3000 საათი), აღნიშნული ფორმატის მიხედვით პროფესიული სტუდენრის დავტირთვა დღეში 24 საათს აღემატება. უნდა ვივარაუდოდ, რომ ტექნიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე და წარმოდგენილი ფორმატი ერთი სემესრტის საათების გადანაწილებას ასახავს, თუმცა ეს არსად არ არის მითითებული.

ექსპერტების ხელთ არსებული მასალების საფუძველზე ვერ ხერხდება სასწავლო კურსებს შორის ლოგიკური კავშირის დადგენა; არ არის გარკვეული როგორ მოხდება სასწავლო კურსების გადანაწილება სემესტრების მიხედვით; რამდენი იქნება თითოეულ სემესტრში კრედიტების ჯამური რაოდენება და იქნება თუ არა ეს რაოდენობა სტუდენტების

დასაშვები დატვირთვის შესაბამისი; რა თამიდევრობით მოხდება პრგრამაში გაცხადებული 5 სახის საწარმო პრაქტიკის განხორციელება.

2) ***<u>შეფასების სისტემა</u>***

სტუდენტთა მიღწევების შესაფესისთვის გამოიყენება მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც იდენტურია ყველა სასწავლო კურსისთვის. შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: დასწრება 10 ქულა, აქტიურობა (20 ქულა), ორი შუალედური შეფასება/ტესტირება (15+15ქულა) და დასკვნითი გამოცდა (40 ქულა). სილაბუსებიდან ვერ ირკვევა როგორ ხდება შეფასების ცალკეული კომპონენტების ფარგლებში ქულების გადანაწილება. ანალოგიური სიტუაციაა პრაქტიკის სილაბუსების შემთხვევაში.
აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პროფესიული სტუდენტების მეცადინეობაზე დასწრება 10 ქულით არის შეფასებული, თუმცა დასწრებასა და „სტუდენტის მიღწევებს" შორის არ *არის პირდაპირი კავშირი* (პროფესიული სტუდენტი შეიძლება ესწრებოდეს მეცადინეობებს, მაგრამ არაფერს აკეთებდეს), ამიტომ „დასწრება" ვერ იქნება სტუდენტების მიღწევების შეფასების მაჩვენებელი.

3) ***<u>დაშვების წინაპირობა</u>***

პროგრამაში დაშვების წინაპირობა შემდეგი სახით არის წარმოდგენილი: *„სრული ზოგადი განათლების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე"*, არ არის გათვალისწინებული „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში 2013 წლის 15 ივლისს შეტანილი ცვლილებებს, რომლის მიხედვით პროფესიული განათლება მიღების უფლება აქვს პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითიმოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე.

ვინაიდან კანონში ცვლილეები შეტანილ იქნა დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ, აღნიშნული დარღვევები ვერ იქნება მიჩნეული ხარვეზად.

**2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით**

შპს - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელი არის ავტორიზებული დაწესებულება, რომელსაც ავტორიზაციის საბჭოს №57 (01.03.2012) გადაწყვეტილებით განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზვრული რაოდენობა – 464. დაწესებულება ახორციელებს 8 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ყველა პროგრამა ჯანდაცვის მიმართულებით არის.

პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულება იყენებს შემდეგ კაბინეტ - ლაბორატორიებს: ანატომიის, უცხო ენების, სამედიცინო დახმარების, ჰიგიენის, მიკრობიოლოგიის, ქიმიის, ფარმაკოლოგიის, პედიატრიის. აღნიშნული კაბინეტ - ლაბორატორიები აღჭურვილია ლაბორატორიული ჭურჭელით, ხელსაწყო-იარაღებით, სქემებით, მულაჟებით და სხვადსხვა სახის თვალსაჩინოებით. გარდა ამისა, სტუდენტების განკარგულებაშია კომპიუტერული კლასი.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2013 წლის 10 ივლისის მდგომარეობის მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის აქტი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი

ლაბოტარორია–კაბინეტებში, სასწავლო ოთახებში, ბიბლიოთეკასა და სხვა ადგილებზე არსებულ მატერიალურ ფასეულობათა ჩამონათვალი.

**ამასთან, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები:**

შპს - თბილისის N1 სამედიცინო სასწავლებელის მიერ წარმოდგენილი მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიუხედავად აღმოჩენილი ნაკლოვანობებისა, მთლიანობაში შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

კახაბერ ერაძის განცხადებით, მისი მოსაზრებით, სასურველი იყო, რომ ხანგრძლივობა იყოს მითითებული პროგრამაში, თუმცა რადგან კონკრეტული ნორმატიული აქტი ამის ვალდებულებას არ იცნობს, იგი არ უნდა გამხდარიყო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

შორენა ჯაფარიძის განცხადებით, პროგრამაში, როდესაც არ არის ხანგრძლივობა მითითებული, პროგრამის ლოგიკური კავშირის დანახვა ძალიან ძნელი იყო.

ლალი ღოღელიანის განცხადებით, სტუდენტმა უნდა იცოდეს წინასწარ, რა დრო სჭირდება პროგრამის დასრულებას ან კონკრეტული სასწავლო კურსის ათვისებას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, გათვალისწინებული იყო ის რეკომენდაციები, რომლებიც მიეცათ ექსპერტების მიერ, ამასთან, სამომავლოდ, გაითვალისწინებენ ყველა მითითებულ გზას განვითარებისათვის.

საბჭომ იმსჯელა შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის N1 სამედიცინო სამედიცინო სასწავლებლისათვის მეხუთე საფეხურის პრაქტიკოსი ბებიაქალის მესამე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ თბილისის №1 სამედიცინო სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202056764) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | პრაქტიკოსი ბებიაქალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მეხუთე | პრაქტიკოსი ბებიაქალის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 120 |

**6. ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა ექსპერტთა დასკვნებში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

**1. გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:**

1.1 პროგრამაში წარმოდგენილი მისანიჭებელი კვალიფიკაცია – „გიდის ადგილობრივი (ლოკალური) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია“ არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტში მოცემულ კვალიფიკაციას. თუმცა პროფესიულ სტანდარტში კვალიფიკაციის დასახელებასთან დაკავშირებული ცვლილება შევიდა დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარის გამოგზავნის შემდეგ.

1.2 სილაბუსებში მითითებულია, რომ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით „დამატებით გამოცდაზე ერთხელ გადაბარების უფლება“ და არ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არანაკლებ 10 დღეში, როგორც ამას ითვალისწინებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“, თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სრული სახით წარმოდგენილია პროგრამაში. პროფესიული სტუდენტებისთვის სილაბუსების მეშვეობით სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სილაბუსებში აღნიშნული წესის სრული ვარიანტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

1.3 ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი არის ავტორიზებული დაწესებულება (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №243, 08.09.2011 წელი), რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილებით აქვს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზვრული რაოდენობა – 400 (ამჟამად დაწესებულებას ჰყავს 103 პროფესიული სტუდენტი). ვინაიდან დაწესებულება უკვე ახორციელებს მსგავსი მატერიალური რესურსის

საჭიროების მქონე პროგრამებს და ასევე წარმოდგენილ იქნა 2012 წლის 31 ოქტომბერის მდგომარეობით მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის აქტი, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯი ფლობს გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს.

ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, გიდის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

**2. მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:**

2.1 სილაბუსებში მითითებულია, რომ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით „დამატებით გამოცდაზე ერთხელ გადაბარების უფლება" და არ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არანაკლებ 10 დღეში, როგორც ამას ითვალისწინებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი", თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სრული სახით წარმოდგენილია პროგრამაში. პროფესიული სტუდენტებისთვის სილაბუსების მეშვეობით სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სილაბუსებში აღნიშნული წესის სრული ვარიანტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

2.2 დაწესებულებას საკუთრებაში აქვს სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩა 64 მდებარე შენობა-ნაგებობა სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიებით. აქვს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, სადაც ჩატარდება სასწავლო პრაქტიკები. ასევე წარმოდგენილ იქნა 2012 წლის 31 ოქტომბერის მდგომარეობით მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის აქტი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულება ფლობს მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მემცენარის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

**3. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:**

3.1 პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (1 კრედიტი - 25სთ), სულ 1500 საათი.

აქედან: სასწავლო კომპონენტისთვის განკუთვნილი საათების რაოდენობაა - 30 კრედიტი (750 სთ); სასწავლო-საწაარმოო პრაქტიკისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობაა - 30 კრედიტი (750 სთ); სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტის პროცენტული თანაფარდობაა 50 /50; დამოუკიდებელი სამუშაოებისათვის - 230 საათი; გამოცდებისათვის - 109 საათი; აკადემიური კალენდარი: 44 კვირა, აქედან: 31 კვირა ლექცია-სამუშაო ჯგუფი, 5 კვირა საწარმოო პრაქტიკა, 3 კვირა დასკვნითი და შუალედური გამოცდა, 5 კვირა დასვენება.

3.2 წარმოდგენილ პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენის სარეკომენდაციო ფორმას".

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია: პროგრამის სახელწოდება; პროფესიული განათლების საფეხური; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; დასაქმების სფერო: პროგრამის მიზანი; სწავლის შედეგი; სწავლის შედეგების რუკა; სასწავლო გეგმა; პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა); პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება; სწავლების მეთოდები; ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ; სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

3.3 პროგრამაში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს". პროგრამას თან ერთვის სასწავლო კურსების 11 სილაბუსი. სილაბუსებში წარმოდგენილია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება; პროფესიული საგანმანათლებლო

3.4 სილაბუსებში მითითებულია, რომ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით *„დამატებით გამოცდაზე ერთხელ გადაბარების უფლება"* და არ არის მითითებული, რომ ეს უნდა მოხდეს არანაკლებ 10 დღეში, როგორც ამას ითვალისწინებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი", თუმცა აღნიშნული მოთხოვნა სრული სახით წარმოდგენილია პროგრამაში. პროფესიული სტუდენტებისთვის სილაბუსების მეშვეობით სრული ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სილაბუსებში აღნიშნული წესის სრული ვარიანტი უნდა იყოს წარმოდგენილი.

3.5 დაწესებულებას წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საკერავი მანქანების (6 ცალი) და სხვა საჭირო აღჭურვილობის არსებობას.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ კოლეჯი ფლობს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს.

ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ დასკვნაში მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით ასევე მოცემული იყო რეკომენდაციები:

1. რეკომენდაცია №1 - სილაბუსებში უნდა იყოს წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსების განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ, კერძოდ, პრაქტიკული მეცადინეობების/ლაბორატორიის განხორციელების ადგილის დასახელება (სახელოსნო, კომპიუტერული კლასი, კაბინეტი, ლაბორატორია, და ა.შ); ასევე საჭირო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, ხელსაწყო-იარაღების, მასალების, თვალსაჩინოების, კომპიუტერული ტექნიკის და ა.შ . ჩამონათვალი და რაოდენობა.

2. რეკომენდაცია №2 – მეტი ყურადღება მიექცეს პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ხარისხის მუდმივ

გაუმჯობესებაზე. ამისათვის, გარდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანკეტებისა, უნდა დაინერგოს სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პრაქტიკა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნებიან: პროფესიული მასწავლებლები და დაწესებულების სხვა პერსონალი; დამსაქმებლები, მათ შორის პოტენციური დამსაქმებლებიც; კურსდამთავრებულები; საწარმოო პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები; მშობლები; აბიტურიენტები; სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები (სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები) და სხვა. შემუშავდეს, გაიწეროს და დაინერგოს კითხვარების ანალიზისა და ანალიზის შედეგების გამოყენების ეფექტური მექანიზმი. გარდა კითხვარებისა, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის სხვა ფორმებიც შეიძლება განხორციელდეს, მაგალითად, ზეპირი გამოკითხვა; შეხვედრები; წინადადებების ყუთი; ვებ–გვერდი; ელექტრონული ფოსტა; სოციალური ქსელები (მაგალითად, Facebook). ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნისთვის ასევე რეკომენდირებულია შემდეგი მექანიზმებისა და ღონისძიებების განხორციელება: შიდა მონიტორინგის და თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება: მასწავლებლების შეფასება „თანასწორების" მიერ (pear review), ბენჩმარკინგის გამოყენება (წარმატებულ დაწესებულებებთან შედეგების შედარება); ხელმძღვანელობის და პერსონალისთვის ხარისხის საკითხების რეგულარული სწავლება.

3. რეკომენდაცია № 3 – სასურველია, რომ კატალოგში, ავტორიზაციის 1.2 სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია „დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ" იყოს მარტივიდ ჩამოყალიბებული და ადვილად აღსაქმელი, არ იყოს გადატვირთული მხოლოდ განათლების დარგის სპეციალისტებისთვის გასაგები ტერმინებით, შესაძლოა ილუსტრირებულიც, ვინაიდან კატალოგი წარმოადგენს ერთგვარ „სავიზიტო ბარათს", რომლის მიზანია ,ერთის მხრივ, ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება, და მეორს მხრივ, სწავლის მსურველების მოხიბლვა და მოზიდვა.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სამივე პროგრამასთან დაკავშირებით არსებითი შენიშვნები არ იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში დაფიქსირებული. მოცემული იყო მხოლოდ რეკომენდაციები, რომლეთა გათვალისიწნებაც, გამოიწვევდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და გაუმჯობესებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული და ყველა რეკომენდაცია იქნებოდა გათვალისწინებული.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის სახელობის პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379070) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ადგილობრივი გიდი (ობიექტის, ქალაქის, რაიონის) | 60 |
| 2 | მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 3 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | მესამე | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

**7.შპს - ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა**

დაწესებულების უფლებამოსილი წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო საბჭომ ერთხმად გადადო საკითხის განხილვა შემდეგ სხდომამდე.

**8. შპს - თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

შორენა ჯაფარიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა ექსპერტთა დასკვნებში დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები:

**1. კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:**

1.1 კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (1500 სთ), აქედან, თეორიული სწავლება – 36 კრედიტი (900 საათი); პრაქტიკა – 24 კრედიტი (600 საათი). სწავლის ხანგრძლივობა 42 კვირა.

1.2 პროგრამაში წარმოდგენილი პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობა - "პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული საბაზო განათლება". წინაპირობა არ ითვალისწინებს 2013 წლის 15 ივლისს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს (მუხლი 7), რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, „ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე". თუმცა ეს ხარვეზად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან კანონში ცვლილება დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ შევიდა.

1.3 პროგრამის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასების (70 ქულა) და დასკვნითი გამოცდის (30 ქულა) საფუძველზე. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურს გამოცდას (30 ქულა) და აქტივობას (40 ქულა), რომელიც შემდეგ კომპონენტებს შეიცავს: სამუშაო ჯგუფში მუშაობა, საშინაო დავალების შესრულება, დისკუსია-დებატებში მონაწილეობას. სილაბუსებში

დაწვრილებით არის გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულების გადანაწილება, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ როგორ ნაწილდება აქტივობის ჯამური 40 ქულა ცალკეულ კომპონენტებს შორის კვირის (დღის, მეცადინეობის) განმავლობაში.

1.4 შპს - თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გარანტი" არის ავტორიზებული დაწესებულება (ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №209, 31.07.2012), რომელსაც აღნიშნული გადაწყვეტილებით აქვს 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა ზვრული რაოდენობა – 169 (ამჟამად დაწესებულებას ჰყავს 44 პროფესიული სტუდენტი).

1.5 ავტორიზაციის ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულებას გააჩნია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის მიზნების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობების და სასწავლო პრაქტიკის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადებები, ჩუქების ხელშეკრულებები), აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის საჭირო სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავად აღმოჩენილი ნაკლოვანობებისა, მთლიანობაში შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

**2. ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:**

2.1 ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 45 კრედიტს (1125 საათი), აქედან 18 კრედიტი (450 საათი) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 27 კრედიტი (675 საათი) სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას (14 კრედიტი სასწავლო პრაქტიკას, 13 კრედიტი საწარმოო პრაქტიკას). სწავლის ხანგრძლივობაა 46 კვირა.

2.2 პროგრამაში წარმოდგენილი პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობა - "პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული საბაზო განათლება". წინაპირობა არ ითვალისწინებს 2013 წლის 15 ივლისს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს (მუხლი 7), რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე. თუმცა ეს ხარვეზად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან კანონში ცვლილება დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ შევიდა.

2.3 პროგრამის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასების (70 ქულა) და დასკვნითი გამოცდის (30 ქულა) საფუძველზე. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურს გამოცდას (30 ქულა) და

აქტივობას (40 ქულა), რომელიც შემდეგ კომპონენტებს შეიცავს: სამუშაო ჯგუფში მუშაობა, საშინაო დავალების შესრულება, დისკუსია-დებატებში მონაწილეობას. სილაბუსებში დაწვრილებით არის გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულების გადანაწილება, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ როგორ ნაწილდება აქტივობის ჯამური 40 ქულა ცალკეულ კომპონენტებს შორის კვირის (დღის, მეცადინეობის) განმავლობაში.

2.4 დაწესებულებას გააჩნია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული კომპონენტის მიზნების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, კერძოდ შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული მეცადინეობების და სასწავლო პრაქტიკის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ზედნადებები, ჩუქების ხელშეკრულებები), აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის საჭირო სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავად აღმოჩენილი ნაკლოვანობებისა, მთლიანობაში შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

**3. ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით:**

3.1 ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (1500 სთ), საიდანაც 36 კრედიტი (900 სთ) ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 24 კრედიტი (600 სთ) სასწავლო პრაქტიკას. სწავლის ხანგრძლივობაა 38 კვირა.

3.2 პროფესიული პროგრამით გათვალისწინებულია სასწავლო პრაქტიკა – 1 და სასწავლო პრაქტიკა – 2, რომლებიც შესაბამისად პირველ და მეორე სემესტრებში ტარდება. ორივე პრაქტიკა სასწავლო პროცესის დასაწყისიდანვე – პირველივე კვირიდან იწყება და სხვა სასწავლო კურსებთან პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. სასწავლო პრაქტიკა – 1 წინაპირობა არ გააჩნია, ხოლო სასწავლო პრაქტიკა – 2–ს წინაპირობას წარმოადგენს სასწავლო პრაქტიკა – 1 გავლა. ლოგიკური იქნებოდა, რომ სასწავლო პრაქტიკა–1 წინაპირობა სასწავლო კურსი „საქმისწარმოების საფუძვლები–1“ ყოფილიყო, ვინაიდან ორივე სასწავლო კურსით თითქმის იდენტური საკითხებია წარმოდგენილი. თუმცა არის დროში აცდენა, კერძოდ რიგ შემთხვევებში პრაქტიკა–1 ფარგლებში წარმოდგენილი თემები „საქმისწარმოების საფუძვლები–1“–ში ანალოგიურ საკითხების წინსწრებით მიმდინარეობს. ასე მაგალითად, სასწავლო პრაქტიკა–1–ში პირველ კვირას გათვალისწინებულია თემა: „ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) სამუშაო ადგილის ორგანიზება და აღჭურვილობა“, ხოლო „საქმისწარმოების საფუძვლები–1“–ში ანალოგიური თემა – „საოფისე მოწყობილებები, ორგანიზაციული ტექნიკა. სამუშაო ადგილის ორგანიზება“ ისწავლება მე–4 კვირას. ზოგადად, სასწავლო პრაქტიკა გულისხმობს პრაქტიკულ მუშაობას იმიტირებულ გარემოში და ის ემსახურება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავებასა და

განმტკიცებას. ამ შემთხვევაში სასწავლო პრაქტიკა ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს, ვინაიდან პროფესიულ სტუდენტს ჯერ არანაირი ცოდნა არ აქვს მიღებული.

3.3 პროგრამის მიხედვით პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება შუალედური შეფასების (70 ქულა) და დასკვნითი გამოცდის (30 ქულა) საფუძველზე. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურს გამოცდას (30 ქულა) და აქტივობას (40 ქულა), რომელიც შემდეგ კომპონენტებს შეიცავს: სამუშაო ჯგუფში მუშაობა, საშინაო დავალების შესრულება, დისკუსია-დებატებში მონაწილეობას. სილაბუსებში დაწვრილებით არის გაწერილი შუალედური და დასკვნითი გამოცდების ქულების გადანაწილება, მაგრამ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ როგორ ნაწილდება აქტივობის ჯამური 40 ქულა ცალკეულ კომპონენტებს შორის კვირის (დღის, მეცადინეობის) განმავლობაში.

3.4 პროგრამაში წარმოდგენილია დაშვების შემდეგი წინაპირობა - „პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს სრული საბაზო ზოგადი განათლება", რაც პირველ რიგში, არასწორადაა ფორმულირებული და იმავრდოულად, არ შეესაბამება 2013 წლის 15 ივლისს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვს პირს, „ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დამლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე". თუმცა ეს ხარვეზად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან კანონში ცვლილება დაწესებულების მიერ თვითშეფასების გამოგზავნის შემდეგ შევიდა.

3.5 შეიძლება ჩაითვალოს, რომ დაწესებულება ფლობს ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მიღწევისათვის სათანადო ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო ფართს.

შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მიუხედავად აღმოჩენილი ნაკლოვანობებისა, მთლიანობაში შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული შედეგები მიღწევადია.

ავტორიზაციის ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ დამატებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა რამდენჯერმა მიმართეს დაწესებულებას, რათა მათ წარმოედგინათ შესაბამისი დოკუმენტაცია. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ კოლეჯმა დაგვიანებით წარმოადგინა შესაბამისი რესურსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრი მიშა კორძახია დაინტერესდა, თუ როდის შევიდა ცვლილება დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში. შორენა ჯაფარიძემ განმარტა, რომ კანონში ცვლილება დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის გამოგზავნის შემდეგ შევიდა.

საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ცენტრ, შეეძლო ნებისმიერ დროს გადაემოწმებინა საგანმანათლებლო დაწესებულება და დაედგინა, ასახა თუ არა კოლეჯმა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს შეეძლო მიემართა მონიტორინგის სამსახურისთვის, რათა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მომხდარიყო დაწესებულების გადამოწმება.

შპს - თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, უმჯობესი იყო საბჭოს დაწესებულებისთვის მიეცა რეკომენდაცია, რომ დაფიქსირებული შენიშვნების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია 7 დღის ვადაში გადმოეგზავნა ცენტრში. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა დამსწრე წევრებმაც.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა საკითხთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ საკითხის ირგვლივ შეკითხვა არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯ გარანტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404943406) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 2 | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 3 | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

**9. შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

დაწესებულების იურისტმა თემურ წურწუმიამ წარმოადგინა მინდობილა, რომლის მიხედვითაც ის იყო უფლებამოსილი საბჭოს წინაშე წარედგინა შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფეტვიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გადამოწმა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: გიდის/ ადგილობრივი გიდის (ობიექტის, ქალაქის, რაიონის)/ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; საბაჟო წარმომადგენელის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მხოლოდ ერთი რეკომენდაცია გიდის პროგრამასთან დაკავშირებით. ვინაიდან გიდის სტანდარტში 2013 წლის 24 აგვისტოს შევიდა ცვლილება წარმოდგენილი პროგრამით მოცემული კვალიფიკაცია არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. უნდა გადაიხედოს სწავლის შედეგების რუქა და სასწავლო კურსების სილაბუსები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მომდევნო კვირას ცენტრში უნდა წარმოედგინა შესწორებული პროგრამა ახალი სტანდარტის შესაბამისად.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გიდის/ ადგილობრივი გიდის (ობიექტის, ქალაქის, რაიონის)/ მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბაჟო წარმომადგენელის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202066405) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | გიდი/ ადგილობრივი გიდის (ობიექტის, ქალაქის, რაიონის) | მესამე | გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ადგილობრივი გიდი (ობიექტის, ქალაქის, რაიონის) | 60 |
| 2 | ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) | მესამე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 3 | საბაჟო წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი) | მესამე | საბაჟო წარმომადგენლის (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

**10. შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თეა შაყულაშვილმა რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გადამოწმა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და კრიმინალისტის III საფეხურის საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. თეა შაყულაშვილმა აღნიშნა, რომ მცირე ხარვეზი რაც დაფიქსირდა ეხებოდა კრიმინალისტის III საფეხურის საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სადაც დაშვების წიანპირობად იყო მითითებული 17 წელი, სტანდარტში განხორციელებული ცვილელებების შედგეად კი მინიმალურმა ასაკმა დაიწია 16 წლამდე. ექსპერტის თქმით ვებ გვერდზე არ იდო დაწესებულების კატალოგი რისი გადამოწმებაც ვერ მოხერხდა.

საბჭოს წევრი ლალი ღოღელიანი დაინტერესდა იყო თუ არა პროგრამები განთავსებული ვებ გვერდზე.

თეა შაყულაშვილმა აღნიშნული დაადასტურა. თეა შაყულაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამები და სილაბუსები, საკმაოდ კარგი იყო, ასევე დაწესებულებას ჰქონდა გამართული მატერიაური ბაზა. ექსპერტის თქმით, კრიმინალისტის პროგრამაში უმჯობესი იყო გათვალისწინებულიყო სასწავლო პრაქტიკა ნაცვლად საწარმოო პრაქტიკისა, სადაც პროფესიული სტუდენტები უკეთ შეძლებდნენ შესაბამის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებას.

დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ მოსაზრებებს იზიარებდა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კრიმინალისტის III საფეხურის საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს - პროფესიულ კოლეჯ ინტელექტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406071691) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კრიმინალისტის III საფეხურის საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | კრიმინალისტის მესამე საფეხურის პროფესიუ-ლი კვალიფიკაცია | 60 |
| 2 | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | მესამე | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |

**11. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ მასკისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა**

დაწესებულების წარმომადგენლების გამოუცხადებლობის გამო საბჭომ ერთხმად გადადო საკითხის განხილვა შემდეგ სხდომამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა რეკომენდაციით მოამზადოს შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რომელიც საბჭოს მისცემდა შესაძლებლობას ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ შექმნილი დოკუმენტაცია გაეთვალისწინებინა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:05 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლალი ღოღელიანი